ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2016 წლის 25 მარტი

ქ. ზესტაფონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, ოქმის შედგენაზე უფლებამოსილების მინიჭებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

1. შევიდეს ცვლილება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, ოქმის შედგენაზე უფლებამოსილების მინიჭებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ივლისის №16 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 04/08/2015წ, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.127.016176) და №1 დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

,,2. ოქმის ფორმა შეიცავს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

ა) რელიეფური დამცავი ბადე.

ბ) ხაზი შედგენილი სიტყვებისაგან ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა” მიკროშრიფტი.

გ) ჭვირნიშანი, სტამბური წესით დამზადებული პენეტრირებული წყლის ნიშანი. ოქმის ბოლო მარჯვენა დაბლა კუთხეში დაიტანება ოქმის დამამზადებული პოლიგრაფიული საწარმო, დამკვეთის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელწოდება ინიციალებით, რეგისტრაციის ნომერი და ოქმის ინდივიდუალური ნომერი (არანაკლებ ექვსი ციფრისა).“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით მაღრაძე**